

სს „მეგობრების მარანი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

|                                                                |    |
|----------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                       | 3  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....      | 4  |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....                           | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....     | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                      | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                  | 5  |
| 3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები .....                   | 8  |
| 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... | 8  |
| 5. ფული და ფულის ექვივალენტები .....                           | 12 |
| 6. სავაჭრო მოთხოვნები .....                                    | 12 |
| 7. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები .....                | 12 |
| 8. მარაგები.....                                               | 13 |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                                  | 13 |
| 10. სესხები .....                                              | 14 |
| 11. შემოსავალი რეალიზაციიდან .....                             | 15 |
| 12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება .....                | 15 |
| 13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....                           | 15 |
| 14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                    | 15 |
| 15. სხვა შემოსავალი .....                                      | 16 |
| 16. მოგება საკურსო სხვაობიდან.....                             | 16 |
| 17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                 | 16 |
| 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....            | 16 |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| მოკლევადიანი აქტივები                   | შენიშვნა | 31-12-22         | 31-12-21         | 31-12-20         |
|-----------------------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 5        | 26,500           | 70,873           | 32,977           |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 6        | 171,364          | 156,608          | 176,091          |
| გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები  | 7        | 513,617          | 544,305          | 542,981          |
| მარაგები                                | 8        | 534,328          | 611,383          | 756,424          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები              |          | 14,911           | 27,503           | 11,552           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>        |          | <b>1,260,720</b> | <b>1,410,672</b> | <b>1,520,025</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                    | 9        | 3,792,472        | 3,694,286        | 3,613,050        |
| არამატერიალური აქტივები                 |          | 22,301           | 22,988           | 24,445           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        |          | <b>3,814,773</b> | <b>3,717,274</b> | <b>3,637,495</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>5,075,493</b> | <b>5,127,946</b> | <b>5,157,520</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                   |          | 11,575           | 114,923          | 101,948          |
| გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი |          | -                | 17,262           | 12,824           |
| მიღებული ავანსები                       |          | -                | 8,148            | 7,165            |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები         |          | 16,520           | -                | -                |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>28,095</b>    | <b>140,333</b>   | <b>121,937</b>   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |          |                  |                  |                  |
| სესხები                                 | 10       | 3,109,875        | 2,598,347        | 2,831,275        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>3,109,875</b> | <b>2,598,347</b> | <b>2,831,275</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>3,137,970</b> | <b>2,738,680</b> | <b>2,953,212</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                |          |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 11,480,146       | 11,438,103       | 10,597,568       |
| დაგროვილი ზარალი                        |          | (9,542,623)      | (9,048,837)      | (8,393,260)      |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>            |          | <b>1,937,523</b> | <b>2,389,266</b> | <b>2,204,308</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>    |          | <b>5,075,493</b> | <b>5,127,946</b> | <b>5,157,520</b> |

დირექტორი -----

ირაკლი ხუნდაძე

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                   |    | 2022             | 2021             |
|---------------------------------------------------|----|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                          | 11 | 202,164          | 445,890          |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება               | 12 | (188,738)        | (402,085)        |
| <b>საერთო მოგება</b>                              |    | <b>13,426</b>    | <b>43,805</b>    |
| ხელფასები და სხვა სარგებელი                       | 13 | (337,323)        | (241,643)        |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                     |    | (206,267)        | (259,674)        |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                 | 14 | (387,208)        | (234,125)        |
| სხვა შემოსავალი                                   | 15 | 100,773          | 11,638           |
| <b>ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე</b> |    | <b>(816,599)</b> | <b>(679,999)</b> |
| საპროცენტო ხარჯი                                  |    | (46,019)         | (122,075)        |
| საპროცენტო შემოსავალი                             |    | 4,720            | 29,019           |
| მოგება საკურსო სხვაობიდან                         | 16 | 364,112          | 117,478          |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                         |    | <b>(493,786)</b> | <b>(655,577)</b> |
| მოგების გადასახადი                                |    | -                | -                |
| <b>წმინდა ზარალი</b>                              |    | <b>(493,786)</b> | <b>(655,577)</b> |

## კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

|                                     | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი  |
|-------------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი</b>    | <b>10,597,568</b>     | <b>(8,393,260)</b>      | <b>2,204,308</b> |
| კაპიტალის გაზრდა                    | 840,535               |                         | 840,535          |
| წმინდა ზარალი                       | -                     | (655,577)               | (655,577)        |
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>11,438,103</b>     | <b>(9,048,837)</b>      | <b>2,389,266</b> |
| კაპიტალის გაზრდა                    | 42,043                | -                       | 42,043           |
| წმინდა ზარალი                       | -                     | (493,786)               | (493,786)        |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>11,480,146</b>     | <b>(9,542,623)</b>      | <b>1,937,523</b> |

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მეგობრების მარანი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2009 წლის 7 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204576529, იურიდიული მისამართი - საქართველო, ყვარლის რაიონი, სოფელი შილდა.

კომპანიის აქციონერები არიან საქართველოს და უცხოეთის მოქალაქე ფიზიკური პირები.

კომპანიის დირექტორია ირაკლი ხუნდაძე (პ/ნ 01008009152).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ღვინის წარმოება, ასევე ვენახების გაშენება. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა შილდაში.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ

გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

|                                                            | საანგარიშგებო თარიღი |                |                | შენიშვნა |
|------------------------------------------------------------|----------------------|----------------|----------------|----------|
|                                                            | 31.12.2021           | 31.12.2020     | 01.01.2020     |          |
| <b>აქტივები</b>                                            |                      |                |                |          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                      | 70873                | 32977          | 16577          | 3.1      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                 | 156608               | 176091         | 293890         |          |
| ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები             | 544305               | 542981         | 15579          | 3.2      |
| მ.შ. - გრძელვადიანი სესხები                                | 503130               | 502515         |                |          |
| მარაგები                                                   | <b>611383</b>        | <b>756424</b>  | <b>762443</b>  | 3.3      |
| მ.შ. - მზა პროდუქცია                                       | 491632               | 611432         | 567653         |          |
| - სხვა                                                     | 119751               | 144992         | 194790         |          |
| საინვესტიციო ქონება                                        |                      |                |                |          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                 | 27503                | 11552          | 25682          |          |
| ბიოლოგიური რესურსები                                       |                      |                |                |          |
| მ.შ. - თვითღირებულების მოდელით                             |                      |                |                |          |
| - გადაფასების მოდელით                                      |                      |                |                |          |
| გუდვილი                                                    |                      |                |                |          |
| სხვა არამატერიალური რესურსები                              | 22988                | 11050          | 10845          |          |
| ძირითადი საშუალებები                                       | 3694286              | 3626445        | 3712047        | 3.4      |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                          |                      |                |                |          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში        |                      |                |                |          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                 |                      |                | 501214         |          |
| <b>სულ აქტივები</b>                                        | <b>5127946</b>       | <b>5157520</b> | <b>5338277</b> |          |
| <b>ვალდებულებები</b>                                       |                      |                |                |          |
| საიჯარო ვალდებულება                                        | 32652                | 22304          |                |          |
| მ.შ. - ფინანსური რესურსების (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი |                      |                |                |          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                      | 82271                | 79644          | 147808         |          |
| ანარიცხები                                                 |                      |                |                |          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                         | 17262                | 12824          | 13308          | 3.5      |
| საგადასახადო ვალდებულებები                                 |                      |                | 20773          |          |
| გამოთხოვნილი შემოსავალი                                    | 8148                 | 7165           | 1077341        |          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                            |                      |                |                |          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                            | 2598347              | 2831275        | 2121327        | 3.6      |
| მიღებული გრანტები                                          |                      |                |                |          |
| მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები  |                      |                |                |          |
| სხვა ვალდებულებები                                         |                      |                |                |          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                   | <b>2738680</b>       | <b>2953212</b> | <b>3380557</b> |          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                   |                      |                |                |          |
| კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)               | 11438103             | 10597568       | 8854716        |          |
| საემისიო შემოსავალი                                        |                      |                |                |          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                               |                      |                |                |          |
| გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი                      | -9048837             | -8393260       | -6896996       |          |
| გადაფასების რეზერვი                                        |                      |                |                |          |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                       |                      |                |                |          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                               | <b>2389266</b>       | <b>2204308</b> | <b>1957720</b> | 3.9      |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>              | <b>5127946</b>       | <b>5157520</b> | <b>5338277</b> |          |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                  | 907542               | 1017510        | 1114171        |          |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                             | 140333               | 121937         | 1259230        |          |

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

|                                                                  | საანგარიშგებო პერიოდი |                 |
|------------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------|
|                                                                  | 2021                  | 2020            |
| ნეტო ამონაგები                                                   | <b>445890</b>         | <b>246976</b>   |
| მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან                                       | 417926                | 227555          |
| - მომსახურების განწევრიდან                                       | 27964                 | 19421           |
| - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                   |                       |                 |
| - სხვა ამონაგები                                                 |                       |                 |
| გაყიდვების თვითღირებულება                                        | <b>-402085</b>        | <b>-144083</b>  |
| საერთო მოგება                                                    | <b>43805</b>          | <b>102893</b>   |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                       |                       | 109866          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                         | -241643               | -283587         |
| ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი                                         | -259674               | -312525         |
| საპროცენტო შემოსავალი                                            | 29019                 | 28320           |
| საპროცენტო ხარჯი                                                 | -122075               | -27165          |
| იჯარის ხარჯი                                                     | -17862                |                 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                         | -205219               | -295350         |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                           | <b>-817454</b>        | <b>-780441</b>  |
| საოპერაციო მოგება                                                | <b>-773649</b>        | <b>-677548</b>  |
| გაუფასურების ხარჯი/აღდგენა                                       |                       |                 |
| მ.შ. - ფინანსური აქტივების                                       |                       |                 |
| - მარაგების                                                      |                       |                 |
| - სხვა არაფინანსური აქტივების                                    |                       |                 |
| წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.    | 117478                | -348942         |
| მიღებული დივიდენდები                                             |                       |                 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                              | 11638                 | -97635          |
| მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან      | <b>-644533</b>        | <b>-1124125</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                        |                       |                 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                             | <b>-644533</b>        | <b>-1124125</b> |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი                                     |                       |                 |
| ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი |                       |                 |
| სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. სან. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)    |                       |                 |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:                               |                       |                 |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი                                  | <b>-644533</b>        | <b>-1124125</b> |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში              | <b>2204308</b>        | <b>1957720</b>  |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)     | 840535                | 1664812         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                   |                       |                 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                            | -11044                | -294099         |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                        |                       |                 |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                            | <b>2389266</b>        | <b>2204308</b>  |

### 3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

მსს ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

### 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### 4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|----------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                   | ევრო   |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2.7020                                       | 2.8844 |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 3.0976                                       | 3.5040 |

#### 4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფი                       | სასარგებლო<br>მომსახურების ვადა<br>(წელი) |
|-----------------------------|-------------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 25-40                                     |
| მანქანა-დანადგარები         | 8-10                                      |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 2-5                                       |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5                                         |

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

#### 4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამომწვევამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

#### 4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

#### 4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

#### 4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

#### 4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

| ფული და ფულის ექვივალენტები | 31-12-22      | 31-12-21      |
|-----------------------------|---------------|---------------|
| ფული საღაროში               | -             | 7,936         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე    | 26,500        | 62,937        |
| <b>სულ</b>                  | <b>26,500</b> | <b>70,873</b> |

## 6. სავაჭრო მოთხოვნები

ცხრილებში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დებიტორების ჩაშლა რეზიდენტების და არარეზიდენტების მიხედვით.

| სავაჭრო მოთხოვნები | 31-12-22       | 31-12-21       |
|--------------------|----------------|----------------|
| რეზიდენტი          | 88,733         | 88,733         |
| არარეზიდენტი       | 82,631         | 67,875         |
| <b>სულ</b>         | <b>171,364</b> | <b>156,608</b> |

## 7. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები

ცხრილებში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ავანსების და გაცემული სესხების ჩაშლა.

| გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები | 31-12-22       | 31-12-21       |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები        | 5,767          | 41,175         |
| გაცემული სესხები                       | 507,850        | 503,130        |
| <b>სულ</b>                             | <b>513,617</b> | <b>544,305</b> |

## 8. მარაგები

ცხრილებში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგების ჩაშლა.

| მარაგები               | 31-12-22       | 31-12-21       |
|------------------------|----------------|----------------|
| საქონელი               | 26,775         | 294,622        |
| მასალა და ნედლეული     | 290,744        | 88,996         |
| დაუმთავრებელი წარმოება | 175,535        | 30,755         |
| მზა პროდუქცია          | 41,274         | 197,010        |
| <b>სულ</b>             | <b>534,328</b> | <b>611,383</b> |

## 9. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ისტორიული ღირებულება        | ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი | დამატება       | რეალიზაცია      | ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი |
|-----------------------------|---------------------------------|----------------|-----------------|------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 3,087,191                       | -              | -               | 3,087,191                          |
| მანქანა-დანადგარები         | 1,383,534                       | 223,689        | (11,496)        | 1,595,727                          |
| მიწა                        | 140,984                         | -              | -               | 140,984                            |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 672,564                         | 62,239         | -               | 734,803                            |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 267,969                         | 22,337         | -               | 290,306                            |
| <b>სულ</b>                  | <b>5,552,242</b>                | <b>308,265</b> | <b>(11,496)</b> | <b>5,849,011</b>                   |

| დაგროვილი ცვეთა             | დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი | ცვეთის ხარჯი   | რეალიზაცია     | დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი |
|-----------------------------|----------------------------|----------------|----------------|-------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 536,070                    | 49,114         | -              | 585,184                       |
| მანქანა-დანადგარები         | 582,764                    | 77,121         | (6,997)        | 652,888                       |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 443,675                    | 46,163         | -              | 489,838                       |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 295,447                    | 33,182         | -              | 328,629                       |
| <b>სულ</b>                  | <b>1,857,956</b>           | <b>205,580</b> | <b>(6,997)</b> | <b>2,056,539</b>              |

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ისტორიული ღირებულება        | ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი | დამატება       | რეალიზაცია | ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი |
|-----------------------------|---------------------------------|----------------|------------|------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 2,857,766                       | 229,425        | -          | 3,087,191                          |
| მანქანა-დანადგარები         | 1,333,105                       | 50,429         | -          | 1,383,534                          |
| მიწა                        | 137,825                         | 3,159          | -          | 140,984                            |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 632,465                         | 40,099         | -          | 672,564                            |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 251,628                         | 16,341         | -          | 267,969                            |
| <b>სულ</b>                  | <b>5,212,789</b>                | <b>339,453</b> | <b>0</b>   | <b>5,552,242</b>                   |

| დაგროვილი ცვეთა             | ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი | ცვეთის ხარჯი   | რეალიზაცია | ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი |
|-----------------------------|---------------------------------|----------------|------------|------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 478,229                         | 57,841         | -          | 536,070                            |
| მანქანა-დანადგარები         | 478,146                         | 104,618        | -          | 582,764                            |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 392,537                         | 51,138         | -          | 443,675                            |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 250,827                         | 44,620         | -          | 295,447                            |
| <b>სულ</b>                  | <b>1,599,739</b>                | <b>258,217</b> | <b>-</b>   | <b>1,857,956</b>                   |

## 10. სესხები

სესხები შედგება აქციონერებისგან და ბანკისგან მიღებული თანხებისგან:

| სესხები                 | 31-12-22         | 31-12-21         |
|-------------------------|------------------|------------------|
| სესხები ბანკებისგან     | 679,748          | 231,081          |
| სესხები აქციონერებისგან | 2,430,127        | 2,367,266        |
| <b>სულ</b>              | <b>3,109,875</b> | <b>2,598,347</b> |

## 11. შემოსავალი რეალიზაციიდან

ცხრილში მოცემულია შემოსავლები მიმართულებების მიხედვით.

| შემოსავლები                                    | 2022           | 2021           |
|------------------------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან | 177,626        | 417,926        |
| შემოსავალი ივენთის მომსახურებიდან              | 18,825         | 22,632         |
| შემოსავალი ღვინის ჩამოსხმის მომსახურებიდან     | 5,713          | 5,332          |
| <b>სულ</b>                                     | <b>202,164</b> | <b>445,890</b> |

## 12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ცხრილში მოცემულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მიმართულებების მიხედვით.

| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 2022           | 2021           |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| გაყიდული/შემძენილი საქონელი         | 180,699        | 390,769        |
| ივენთის მომსახურების ხარჯი          | 8,039          | 11,316         |
| <b>სულ</b>                          | <b>188,738</b> | <b>402,085</b> |

## 13. ხელფასები და სხვა სარგებელი

| ხელფასები და სხვა სარგებელი                 | 2022           | 2021           |
|---------------------------------------------|----------------|----------------|
| მენეჯმენტზე გაცემული სარგებელი              | 94,349         | 20,125         |
| სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული სარგებელი | 242,974        | 221,518        |
| <b>სულ</b>                                  | <b>337,323</b> | <b>241,643</b> |

## 14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები            | 2022    | 2021    |
|----------------------------------------------|---------|---------|
| წარმოებასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯები | 180,145 | 100,720 |

|                                    |                |                |
|------------------------------------|----------------|----------------|
| კომუნალური ხარჯები                 | 55,011         | 42,563         |
| შეკეთება და რემონტი                | 49,514         | 13,507         |
| საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი | 33,330         | 19,445         |
| იჯარის ხარჯი                       | 12,097         | 17,862         |
| საკონსულტაციო ხარჯები              | 11,614         | 22,627         |
| სხვა ხარჯები                       | 45,497         | 17,401         |
| <b>სულ</b>                         | <b>387,208</b> | <b>234,125</b> |

### 15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შედგება ბიოლოგიური აქტივების, კერძოდ ვენახებიდან მოკრეფილი ყურძნის დაკრეფის მომენტში ნალიარები ნამეტიდან.

### 16. მოგება საკურსო სხვაობიდან

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ძირითადად შედგება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო ვალდებულებების სავალუტო გადაფასებიდან.

### 17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 94,349 ლარი, ხოლო 2021 წელს 20,125 ლარი.

### 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.